სსრკ
კონსტიტუცია
(ძირითადი კანონი)

# მეშვიდე სტარტი

დაიწყო ევროპის კალათბურთელთა ტურნირი—ჩემპიონთა თასის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობს კონტინენტის ყველა უძლიერესი საკლუბო გუნდი. წლევანდელი ტურნირი, რომელიც დამთავრდება 1964 წლის ზაფხულში, რიგით მეშვიდეა. წინა ექვს გათამაშებაში სხვებზე უკეთესი შედეგი ჰქონდათ რიგის არმიელ სპორტსმენებს. ისინი ოთხჯერ გავიდნენ თასის ფინალში და სამჯერ (1958-59-60 წლებში) მოიპოვეს საპატიო ჯილდო. მოსკოვის ცსკა ორჯერ მონაწილეობდა ფინალში და ორჯერვე პირველ ადგილზე გამოვიდა. (1961 და 1963 წლებში). ამდენჯერვე იყო ფინალში თბილისის „დინამო“, მაგრამ მან მხოლოდ ერთხელ — 1962 წელს დაისაკუთრა გარდამავალი პრიზი. ფინალისტთა შორის იყვნენ საზღვარგარეთის გუნდებიც — ორჯერ სოფიის „აკადემიკი“ (1958-59 წ.წ.) და ორჯერ (1962-63 წ.წ) მადრიდის „რეალი“. მაგრამ ვერც ერთხელ ისინი ვერ გასცდნენ მეორე ადგილს.

თასის წლევანდელი მფლობელი მოსკოვის ცსკა გათამაშებაში ჩაებმება მეოთხედფინალიდან. მანამდე კი უძლიერესი გუნდები იბრძვიან მერვედფინალში მონაწილეობისათვის.

წარმატებით გამოდის თასის წლევანდელ გათამაშებაში პოლონეთის ჩემპიონი — ვარშავის „ლეგია“. მან განმეორებითი მატჩი შვეციის „ალვიკს“ მოუგო ანგარიშით 75:67 (42:30) და მოიპოვა მერვედფინალში თამაშის უფლება. აქ იგი შეხვდება პორტუგალიის ჩემპიონს, ლისაბონის „ბენფიკას“.

ძლიერი კონკურენტი ჩამოიცილა ბელგრადის მკკ-მ. მან ორი მატჩი მოუგო სოფიის „აკადემიკს“ სოფიაში ანგარიშით 68:61 და ბელგრადში ანგარიშით 81:80. როგორც ჩანს, იუგოსლავიის ჩემპიონი მერვედფინალში შეხვდება ბრნოს „სპარტაკს“ (ჩეხოსლოვაკია), რადგან ამ უკანასკნელმა პირველი მატჩი ავსტრიის ჩემპიონს მოუგო დიდი ანგარიშით — 105:71.

ზემოჩამოთვლილ გუნდებს გარდა თასისათვის ბრძოლის კარგ შანსებს ინარჩუნებენ: „ჰემი“ (ჰალე), „ანტვერპსი“ (ანტვერპენი), „რეალი“ (მადრიდი), „გალატასარაი“ (სტამბოლი), პუკ-ი (პარიზი) და სხვ.

კალათბურთელ ქალთა ტურნირში მონაწილე გუნდების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ამიტომ აქ თასისათვის ბრძოლა მერვედფინალიდან იწყება. ჯილდოს მფლობელი რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტი კი პირველ თამაშს მეოთხედფინალში ჩაატარებს. უკვე გამოვლინდა მისი მეტოქე. ესაა გდრ-ს ჩემპიონი, ბერლინის კლუბი ტსც, რომელმაც ორ შეხვედრაში დაამარცხა შვეიცარიის უძლიერესი გუნდი „ჟენევა“.

კარგი სტარტი აიღო უნგრეთის მტკ-მ. მან პირველი მატჩი მოუგო „გაზი ეგიტიმს“ (თურქეთი) — 87:29. პოლონეთის ჩემპიონმა „ვისლამ“ (კრაკოვი) დაამარცხა რაბატის (მაროკო) გუნდი — 63:26.

კალათბურთი

5 დეკემბერი
ხუთშაბათი,
1963 წ.
№ 240 (2345)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

# „დინამომ“ დაამარცხა „ჟალგირისი“

ბალტიისპირეთის არც ერთ რესპუბლიკაში არ სარგებლობს კალათბურთი ისეთი პოპულარობით, როგორც ლიტვაში და კერძოდ ქალაქ კაუნასში. ადრე ლიტვის უძლიერესი გუნდი (ჯერ ასკ, შემდეგ „ჟალგირისი“) ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი იყო და წამყვან როლსაც თამაშობდა საბჭოთა კალათბურთის განვითარებაში. უკანასკნელ წლებში კაუნასის „ჟალგირისი“ ერთგვარ კრიზისს განიცდიდა მაღალი ტანის სპორტსმენთა სიმცირის გამო. წელს ეს პრობლემა გუნდმა გადაჭრა. „ჟალგირისში“ გამოჩნდა რამდენიმე მაღალი ტანის ახალგაზრდა სპორტსმენი. ლიტველი კალათბურთელები მძლავრ ძალად გადაიქცნენ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში.

და აი ეს გუნდი მესამე ტურში თავის მოედანზე შეხვდა თბილისის „დინამოს“. ინტერესი მატჩისადმი ცხადია დიდი იყო. კაუნასის „სპორტჰალე“ მაყურებლებით იყო სავსე, თუმცა ყველა გულშემატკივარი ვერ მოხვდა თამაშზე. უბილეთოებმა საკუთარ ბინებს მიაშურეს, რათა ტელეგადაცემის საშუალებით მაინც ედევნებინათ თვალი მატჩის მსვლელობისათვის. შეხვედრის ტრანსლაცია წარმოებდა აგრეთვე კაუნასის რადიოთი.

დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა თბილისელებს. „ჟალგირისმა“ წაიყვანა ანგარიში და სულ მალე ხელთ იგდო ინიციატივა. „დინამოს“ მთელი ძალების მობილიზება დასჭირდა, რათა გაეთანაბრებინა თამაში. სტუმართა შორის განსაკუთრებით ენერგიულად მოქმედებდნენ ლ. მოსეშვილი და გ. მინაშვილი. ზუსტი გასვლებით ფარქვეშ და ეფექტური სროლების მეოხებით მათ გაარღვიეს ლიტველთა ზონური დაცვა. მართალია, პირველი ნახევარი მოიგო „ჟალგირისმა“ (31:29), მაგრამ იგრძნობოდა, რომ ინიციატივა მასპინძლებმა დაკარგეს.

ეს ცხადი გახდა თამაშის განახლებისას. უკვე მეოთხე წუთზე გოგელიამ ორი საჯარიმო სროლით წინ გაიყვანა თავისი გუნდი. სწორედ აქ მოხდა გარდატეხა. მასპინძელთა რწმენა და სიმტკიცე შეირყა, თბილისელთა თამაშმა კი უფრო მიზანდასახული და აქტიური ხასიათი მიიღო. უპირატესობა „დინამომ“ შეინარჩუნა შეხვედრის ბოლომდე და მოიპოვა დამსახურებული გამარჯვება ძლიერ კოლექტივზე — 64:48.

საქართველოს მეორე გუნდი „პოლიტექნიკი“, როგორც ჩანს, მოიქანცა „დინამოსთან“ და კაუნასის „ჟალგირისთან“ ძნელი თამაშების შემდეგ. მან საკმაოდ უფერულად ჩაატარა მესამე მატჩი ლენინგრადის „სპარტაკთან“ და განიცადა დამარცხება ანგარიშით 62:75. მატჩის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო ლეონოვი, რომელმაც თავის გუნდს 22 ქულა მოუტანა.

კაუნასის ჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვა დუშანბეს „ტაჯიკისტანმა“. მან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ფრუნზეს სკიფი — 58:54.

**ო. ასტრაუსკასი,**
**კაუნასი. ჩვენი კორესპონდენტი.**

* * *

**დნეპროპეტროვსკი.** (ტელეგრაფით). საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდი მესამე ტურში შეხვდა ერევნის „სპარტაკს“, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე სომხეთის ნაკრებმა დაამარცხა საქართველოს ნაკრები (ორივე კოლექტივი მთლიანად დაკომპლექტებული იყო აღნიშნული საკლუბო გუნდების წარმომადგენლებით). ამჯერად ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელებმა აიღეს რევანში და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 60:39 (29:18)

წარმატებით განაგრძობს ბრძოლას ამ ჯგუფში ჩვენი ქვეყნის ვერცხლის პრიზიორი — ლენინგრადის არმიელთა კოლექტივი. მან მესამე ტურში იოლი გამარჯვება მოიპოვა ტაშკენტის „ტექსტილმაშზე“, რომლის რიგებშიც გამოდის ყველაზე მაღალი ტანის კალათბურთელი ქალი რ. სალიმოვა (201 სმ). შეხვედრის შედეგია — 63:37. პირველი გამარჯვება მოიპოვა დედაქალაქის „ლოკომოტივმა“. მან დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „სტალი“ — 49:36.

გუშინ ჩემპიონატზე დასვენების დღე იყო.

# არაგვის ხეობა შეხვდა ჩემპიონს

არაგვის ხეობის სოფლებში სწრაფად გახმიანდა, რომ 3 დეკემბერს დუშეთის კულტურის სახლში საზოგადოება „ცოდნის“ დუშეთის განყოფილება აწყობს შეხვედრას ნ. გაფრინდაშვილთან. და ამ დღეს კულტსახლის საქტო დარბაზში ტევა არ იყო. მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრაზე ჩამოვიდნენ ბარისახოდან, ფასანაურიდან, ლაფანაანთ კარიდან და სხვა შორეული სოფლებიდან.

საზეიმო შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა დუშეთის კომკავშირის რაიკომის მდივანმა ქ. ბექაურმა. მსოფლიო პირველობისათვის ნ. გაფრინდაშვილის ბრძოლის შესახებ ილაპარაკა საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა თ. გიორგაძემ. დუშეთის მედიცინის მუშაკთა სახელით სტუმარს მიესალმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. კუკულაშვილი, ხოლო მოსწავლეების სახელით—ლ. კაკალაშვილი, რომელმაც საჩუქარი გადასცა ჩემპიონს. მსოფლიო ჩემპიონისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა ვ. კასრაძემ. ნ. გაფრინდაშვილს მიესალმნენ აგრეთვე დუშეთის პიონერები.

დამსწრეებმა ინტერესით მოუსმინეს ნ. გაფრინდაშვილს, რომელმაც მოუთხრო მათ იუგოსლავიაში გამართულ ქალთა II ოლიმპიადის, ბაქოში მიმდინარე ქალთა საკავშირო პირველობისა და თავის მომავალი გეგმების შესახებ.

შეხვედრის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 20 დაფაზე. ორნახევარსაათიან ბრძოლაში ჩემპიონმა მოიგო 16 პარტია, ორი წააგო (ვ. დინუაშვილთან, ვ. პერშინთან) და ორიც ყაიმით დაამთავრა (ა. ჩანადირთან, ჯ. ბოჭორიშვილთან).

**ს. ხუროძე**

• • •

**სურათზე:** ნ. გაფრინდაშვილი დუშელ პიონერებთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# საკავშირო პირველობები ჭადრაკში

●

## ბაქო

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა XII ტურის პარტიები, რომელთაგან მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა.

კარგად ითამაშა ზატულოვსკაიამ მოსკოველ პოსტნიკოვასთან და გაიმარჯვა. ჩინებულად იბრძვის ტურნირის ერთ-ერთი ლიდერი სკეგინა. მან დაამარცხა ბელავენეცი. დმიტრიევამ მოუგო რანიკუს.

გადადებულ პარტიებში ჩაიკოვსკაიას მატერიალური უპირატესობა აქვს ბორისენკოსთან, ხოლო კაკაბაძეს თანაბარი მდგომარეობა კონტოროვიჩთან.

XII ტურის შემდეგ ა. კუშნირს 8,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს.

## ლენინგრადი

გადადებული პარტიების დამთავრებისას, რომელიც VI ტურის შემდეგ მოეწყო, მინსკელმა სუეტინმა მოუგო ფურმანს და (4,5 ქულით) სათავეში ჩაუდგა პირველობას. პოლუგაევსკიმ მოუგო ნეის, კორჩნოიმ — ოსნოსსა და ბრონშტეინმა — ნეის.

ყაიმი იქნა ფიქსირებული ბონდარევსკი-ზახაროვის, ავერბახ-კორჩნოის, შტეინ-ტაიმანოვისა და ტაიმანოვ-ზახაროვის პარტიებში.

4-4 ქულა აქვთ გელერს, პოლუგაევსკის, ხოლმოვსა და ბაგიროვს

### ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ

## პიონერულ ოთხჭიდში

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ქალაქის განათლების განყოფილების მძლეოსნური სკოლის მოსწავლეთა შეჯიბრება პიონერულ ოთხჭიდში. ყოველ მწვრთნელს გამოჰყავდა ორ-ორი გუნდი. ყველაზე კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს კ. გიორგაძის აღსაზრდელებმა. გოგონათა ოთხჭიდში უძლიერესი იყო ნ. სტეპანენკო (მე-20 სკოლა), ხოლო ჭაბუკთა შორის გამარჯვება წილად ხვდა მე-5 სკოლის მოსწავლეს კ. ფადარიანს. ცალკეულ სახეობებში გაიმარჯვეს: გოგონათა 60 მეტრზე რბენაში ა. ნიკიტინამ—8,7 წ. ჭაბუკთა შორის — კ. ფადარიანმა — 8,0. სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბონდარენკომ დაძლია 130 სმ. ბიჭებში უძლიერესმა ნ. ბადენკომ — 135 სმ. სიგრძეზე ხტომა გოგონებში მოიგო ლ. ხელაძემ — 4.17 მ, ბიჭებში — კ. ფადარიანმა — 4.66 მ. ბურთის ტყორცნაში გამარჯვებულები გამოვიდნენ ნ. სტეპანენკო — 43.50 მ და მ. ჩიხლაძე — 52.20 მ.

პ. კებაბჩიანი

## მწვრთნელი არა გვყავს

ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები სპორტის დიდი მოყვარულები არიან, მაგრამ აქ არავინ არის ისეთი, რომ ბავშვებს თავისი ცოდნა გაუზიაროს.

სურვილი გვაქვს ჩამოყალიბდეს კრივისა და ჭიდაობის სექციები, მწვრთნელი კი არსაიდან ჩანს. ბარისახოში მრავალია ისეთი ახალგაზრდა, რომლებსაც შეუძლიათ სათანადო ხელმძღვანელობის შემდეგ დაიცვან არა თუ რაიონის, არამედ რესპუბლიკის სპორტული ღირსებაც. თბილისში კი არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ღებულობენ ფიზკულტურულ განათლებას და ერიდებიან სოფლად წასვლას. სწორედ ამიტომ ვთხოვთ მოკრივე-სპორტსმენებს ჩამოვიდნენ ჩვენთან და შეგვასწავლონ სპორტის ეს სახეობა. სკოლას გააჩნია ამის საჭირო ინვენტარი.

ჩვენ გვინდა მოგაგონოთ, რომ მოკრივე გ. ხორნაულმა, რომელმაც არაერთგზის ასახელა რესპუბლიკა, ბარისახოს სკოლა-ინტერნატში აღიზარდა. ხორნაულისთანას კი აქ ბევრს იპოვნით.

გთხოვთ დაგვეხმაროთ კრივის სექციის (განა მარტო კრივის) ჩამოყალიბებაში.

შ. ჭინჭარაული,
ბარისახოს სკოლა-ინტერნატის
X კლ. მოსწავლე.

# ხელბურთი შეტანილია 1964 წლის მოსწავლეთა რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადების პროგრამაში

## მეკარე მეკარის თამაშის შესახებ

**ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდის მეკარეს, სპორტის ოსტატ ჯ. აბაიშვილს. ვფიქრობთ, ეს ინტერვიუ ერთგვარად დაეხმარება დამწყებ ხელბურთელებს, რომელთაც უშუალოდ კარის დაცვა უხდებათ. ქვემოთ ვაქვეყნებთ ჯ. აბაიშვილის ნაამბობს.**

• •

საერთოდ, ხელბურთი ათლეტური და ემოციური თამაშია. კარში ძლიერი და ზუსტი დარტყმა, მეკარის მიერ ბურთის მოგერიება, კონტრთამაშის სწრაფი დაწყება მოწინააღმდეგის კარზე და ბოლოს გატანილი გოლი! ყველაფერი ეს უთუოდ დიდ სანახაობით ეფექტს ჰქმნის. მე არ შევეხები ხელბურთის თამაშის აღწერას, მის წესებს და გესაუბრებით მხოლოდ მეკარის თამაშის ზოგიერთი მხარის შესახებ.

მეკარე, როგორც ცნობილია, წარმოადგენს გუნდის დაცვის საბოლოო ზღუდეს. ფეხბურთის მეკარისაგან განსხვავებით, ხელბურთის კარის დარაჯს საჭიროა ჰქონდეს კიდევ უფრო სწრაფი რეაქცია და, რაც მთავარია, ადგილის ამორჩევის უნარი. საჭიროა ადგილის შერჩევა ისე, რომ ბურთი მოგხვდეს, უკუაგდო იგი ხელით, ფეხით ან ტანით.

მეკარის ყველაზე დიდ შეცდომად ითვლება ბურთის დაჭერა ორი ხელით. მსოფლიოს საუკეთესო მეკარეები — რუმინელი რედლი, შვედი ლინდბოლმი (თბილისელი მაყურებლისათვის ნაცნობი მეკარეები), ჩეხი არნისტი და სხვები, ბურთზე გამოდიან გამართულნი და ამუშავებენ ფეხებს, ხელებსა და ტანს. კარის დაბალ კუთხეებში დარტყმულ ბურთებს ისინი აჩერებენ ფეხით, ხოლო თუ ბურთი ნატყორცნია მუხლის, წელს ან თავს ზემოთ — ერთი ხელით.

საუკეთესო მეკარეებს თავიანთ სათამაშო შესაძლებლობათა აქტივიდან „ამოშლილი“ აქვთ ნახტომში ბურთის აღება. უნახტომოდ ბურთის მოგერიების თვისება მეკარის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ერთიდაიგივე სიძლიერით დარტყმული ბურთი, ვთქვათ კარის მარჯვენა მაღალ კუთხეში, ორ სხვადასხვა ტიპის მეკარეს აუღია სხვადასხვანაირად: ერთს ხელის, ასე ვთქვათ, უბრალო აქნევით, ხოლო მეორეს — ნახტომში. სპეციალისტების თვალსაზრისით, პირველი მეკარის მოქმედება სწორია, ხოლო მეორის მოქმედება კი უარყოფითია, თუმცა ეფექტური.

მიწიდან დარტყმული ბურთების ნახტომით აღება დაუშვებელია. საერთოდ, ასეთი ბურთები მეკარისათვის ძალზე ძნელად ასაღებ ბურთებად ითვლება. 1961 წელს კაუნასში ჩატარდა სსრ კავშირის 4 საუკეთესო გუნდის ტურნირი. ქალაქ სერპუხოვისა და მოსკოვის „ტრუდის“ კოლექტივების შეხვედრაში მოსკოველთა მეკარემ ნახტომით ზედიზედ ხუთი ბურთი გაუშვა (დარტყმული იატაკიდან), რამაც საბოლოოდ იმოქმედა საერთო ანგარიშზე. ამ ბურთებს მეკარე უნდა იგერიებდეს ფეხისა და ხელის ერთდროული მოქმედებით.

მეკარე ყოველი კონტრიერიშის წამომწყებია. კონტრიერიში საუკეთესო გუნდების ერთ-ერთი მთავარი ტაქტიკური ვარიანტია. ამ დროს ისახება იმის ამოცანა, რომ მოწინააღმდეგის კართან მოთამაშეთა რიცხობრივი უპირატესობა შეიქმნას. ყველაფერ ამას კი საწყისი მეკარემ უნდა მისცეს. მან დიდი სიზუსტით უნდა მიაწოდოს ბურთი მოედნის მთელ სიგრძეზე წინ გასულ თავდამსხმელს. ამის ზუსტად შესრულება კი ანგარიშის გაზრდის კარგ საშუალებას იძლევა, ე. ი. იქმნება 100-პროცენტიანი საგოლო მომენტი. ამ შემთხვევაში მოპირდაპირე მეკარემ სწორად უნდა განსაზღვროს თავისი მდგომარეობა და ასევე სწორად აუღოს ალღო პირისპირ წამოსულ თავდამსხმელს. არიან მეკარეები, რომლებიც ასეთ ვითარებაში მოწინააღმდეგეებს ხვდებიან კარის ხაზზე და ტანის ცრუ მოძრაობით შეცდომაში შეჰყავთ თავდამსხმელი, ხოლო მეორენი კი გამოდიან ნახტომით მოწინააღმდეგის ბურთიანი ხელის მიმართულებით. ასეთი მოქმედებანი გამართლებულია იმით, რომ იგი მოულოდნელია თავდამსხმელისათვის, ხოლო მეკარის წინ გამოსვლით მცირდება დარტყმის კუთხე, თავდამსხმელი ჩქარობს, იგი იძულებულია ბურთი გადაუგდოს მეკარეს თავზე ან იჩქაროს დარტყმა.

კუთხიდან დარტყმისას მეკარე ახლო არ უნდა იდგეს ძელთან, არამედ რამდენადმე (15-20 სმ-ით) დაშორებული და მოქმედებდეს უშუალოდ ხელის, ფეხისა და ტანის დახმარებით. შეიძლება აგრეთვე კარიდან გამოსვლაც, მხოლოდ დიდი სიზუსტით.

აი მოკლედ ის, რაც გვინდოდა გვეთქვა მეკარის თამაშის შესახებ.

**სურათებზე:** ზევით — წამიც და თბილისის „ბურევესტნიკის“ მოთამაშე ა. ექსეულიძე კარისაკენ გაგზავნის ბურთს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ ვითარებაში ყველაზე მძიმე წუთებს მეკარე განიცდის; ქვევით — „ტე გოტვალდოვოს“ (ჩეხოსლოვაკია) მეკარე ი. კრალიკი ფეხით იგერიებს ძნელ ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ასე ჩატარდება მსოფლიო პირველობა

როგორც ცნობილია, 6-15 მარტს ჩეხოსლოვაკიის ოთხ ქალაქში ჩატარდება ხელბურთში ვაჟთა გუნდების მსოფლიო III ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები. მანამდე კი, 20 დეკემბრიდან მომავალი წლის 20 იანვრამდე შედგება შესარჩევი მატჩები. შესარჩევ მატჩებს არ ჩაატარებენ და პირდაპირ დასკვნით ტურნირში ჩაებმებიან II მსოფლიო ჩემპიონატში პირველ რვა ადგილზე გამოსული ქვეყნები — რუმინეთი (1960 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული), ჩეხოსლოვაკია, შვეცია, გფრ, გდრ, დანია, ისლანდია და იაპონია.

დასკვნითი ტურნირის დანარჩენი რვა მონაწილე ქვეყანა გაირკვევა შესარჩევ მატჩებში. უკვე მოხდა კენჭისყრა და ეს გუნდები დაიყო 8 ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოხვდნენ აშშ და კანადა, მეორეში—იუგოსლავია-ავსტრია, მესამეში — შვეიცარია-ლუქსემბურგი, მეოთხეში — ნორვეგია-ჰოლანდია, მეხუთეში — სსრკ-ფინეთი, მეექვსეში— პოლონეთი-უნგრეთი, მეშვიდეში — საფრანგეთი-ესპანეთი. თვითეული წყვილი ერთმანეთთან ჩაატარებს ორ-ორ მატჩს და გამარჯვებული ქვეყანა მოიპოვებს დასკვნით ტურნირში მონაწილეობის უფლებას. მერვე ჯგუფში მოხვდა აფრიკის 4 ქვეყანა — არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, სირია, სენეგალი და სპილოს ძვლის ნაპირი. ამ ჯგუფში თამაშები ჩატარდება წრიული სისტემით და პირველ ადგილზე გასული ქვეყანა მონაწილეობას მიიღებს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპში.

ამის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ოთხ ქალაქში თავს მოიყრის 16 გუნდი და 6-9 მარტს ჩატარდება „ა“, „ბ“, „გ“, და „დ“ ჯგუფებში მოხვედრილი გუნდების ასპარეზობა ნახევარფინალში გასვლისათვის. „ა“ ჯგუფის გუნდები გამოვლენ გოტვალდოვოში. აქ ითამაშებენ გფრ, გდრ და I და II ჯგუფების შესარჩევ მატჩებში გამარჯვებული კოლექტივები. დანარჩენი ჯგუფები გამოიყურება ასე: „ბ“ ჯგუფი — ბრატისლავაში: შვეცია, ისლანდია, VI ჯგუფში და აფრიკის ქვეყნების ტურნირში გამარჯვებულები; „გ“ ჯგუფი — პრაღაში: ჩეხოსლოვაკია, დანია, III და VII ჯგუფებში გამარჯვებულები; „დ“ ჯგუფი — პარდუბიცეში: რუმინეთი, იაპონია, IV და V ჯგუფებში გამარჯვებულები. როგორც უკვე ვიცით, შესარჩევ მატჩს სსრკ-ს ნაკრები ჩაატარებს V ჯგუფში ფინეთთან. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ნაკრები გაემგზავრება ჩეხოსლოვაკიაში და თავის პირველ მატჩებს ჩაატარებს პარდუბიცეში. პირველ შესარჩევ მატჩს საბჭოთა კავშირის ნაკრები ფინეთის კოლექტივთან ჩაატარებს 20 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში, ხოლო განმეორებით მატჩს — მომავალი წლის დამდეგს ჰელსინკში. მანამდე ჩვენი ნაკრები გაივლის ერთობლივ წვრთნას თბილისში, სადაც იგი ვარჯიშს დაიწყებს 9 დეკემბერს. 15-17 დეკემბერს თბილისში ჩატარდება ხელბურთელთა ტურნირი საბჭოთა კავშირის, რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრების, თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ბაქოს „დინამოს“ მონაწილეობით.

## დავნერგოთ
ხელბურთი სკოლებში, ვიბრძოლოთ
მისი მასობრიობისათვის, , მაღალი
კლასის სპორტსმენთა
გამოვლინებისათვის!

# მოგზაურობს ა. ღოღობერიძე...

„ბურთით ცხრა მთას იქით“ —ასე ეწოდება გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ავთანდილ ღოღობერიძის წიგნს, რომელიც ახლახან გამოსცა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა. წიგნი წარმოადგენს სპორტსმენის ჩვეულებრივი დღიურის საფუძველზე შედგენილ მოგონებებს, რომლის ლიტერატურული ჩანაწერიც ეკუთვნის გ. აკოპოვს. მაგრამ ეს „ჩვეულებრივი“ დღიური ისეთ არაჩვეულებრივ სპორტსმენს ეკუთვნის, როგორიც არის წარსულში თბილისის „დინამოს“ სახელგანთქმული შუამარბი ა. ღოღობერიძე. მან თავისი ვირტუოზული თამაშით აღფრთოვანებაში მოიყვანა ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ფეხბურთის მოყვარულნი და ტრიუმფით შემოიარა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ირანისა და რუმინეთის, პოლონეთისა და ჩინეთის, საფრანგეთისა და შვეიცარიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების სტადიონები. ამდენად, ქართველი გულშემატკივრისათვის ეს „ჩვეულებრივი“ მოგონებანი განსაკუთრებით ძვირფასი და ახლობელი იქნება.

ბურთით ცხრა მთას იქით

წიგნს წინ ახლავს პატარა შესავალი, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „დღიურები დიდი სიამოვნებით წავიკითხე. თუმცა წიგნის მთავარ ღირსებას წარმოადგენს მისი წმინდა „საფეხბურთო“ ნაწილი (ეს ასეც უნდა ყოფილიყო) — კვალიფიციური შეფასება და ანალიზი მრავალი ეროვნული ნაკრების, კლუბისა თუ ცალკეული ფეხბურთელის თამაშისა, დარწმუნებული ვარ, რომ იგი მხოლოდ სპეციალისტებსა და ფეხბურთის გულშემატკივართ როდი დააინტერესებს. ეს წიგნი მხოლოდდამხოლოდ ფეხბურთზე არ გახლავთ. იგი მოგვითხრობს შეხვედრებზე იმ ადამიანებთან, იმ უცხოელ მეგობრებთან, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება და მატულობს. დაბოლოს, ეს არის წიგნი იმ დიად მისიაზე, რომელიც მრავალგზის ჰქონდა დაკისრებული საბჭოთა სპორტის წარგზავნილებს — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს“. ამ სტრიქონებს ხელს აწერს ჩვენი სასიქადულო ბორის პაიჭაძე, რომელთანაც ერთად წიგნის ავტორს არაერთი ღირსსახსოვარი მომენტი განუცდია ფეხბურთის მწვანე მინდვრებზე. და ეს სტრიქონები ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემენ ა. ღოღობერიძის წიგნის არსს.

შემდეგ კი იწყება ყველა ფეხბურთის მოყვარულისათვის სანუკვარი, უაღრესად საინტერესო ამბების თხრობა. გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელთა და თბილისის „დინამოს“ საყვარელ, შესისხლხორცებულ კოლექტივთან ერთად იგი იწყებს საინტერესო მოგზაურობას სხვადასხვა ქვეყნის სტადიონებზე, მეხსიერებაში აცოცხლებს და ხორცს ასხამს მოგონებებს.

წიგნი მშვენივრადაა გაფორმებული მხატვრულად (მხატვარი გ. იაშვილი) და ილუსტრირებულია მდიდარი ფოტომასალით. ეს მასალები თავისებურად ავსებენ და კიდევ უფრო აცოცხლებენ ავტორისეულ თხრობას.

გსურთ თუ არა კიდევ ერთხელ შეხვდეთ ფეხბურთის მწვანე მინდორზე ჩვენს სასიქადულო სპორტსმენს — ა. ღოღობერიძეს? მაშინ, წაიკითხეთ მისი წიგნი — „ბურთით ცხრა მთას იქით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 3 დეკემბრისათვის

## I-X ადგილებისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი“ ქუთაისი | 34 | 22 | 6 | 6 | 67—25 | 50 |
| სას სამ. ინსტიტუტი თბ. | 34 | 17 | 15 | 2 | 58—28 | 49 |
| „მეშახტე“ ტყიბული | 36 | 20 | 8 | 8 | 71—41 | 48 |
| „მერცხალი“ მახარაძე | 36 | 15 | 16 | 5 | 57—29 | 46 |
| „სინათლე“ თბილისი | 35 | 20 | 6 | 9 | 69—48 | 46 |
| „გურია“ ლანჩხუთი | 35 | 17 | 8 | 10 | 58—37 | 42 |
| „მესხეთი“ ახალციხე | 35 | 18 | 6 | 11 | 63—46 | 42 |
| „ცისკარი“ ცხაკაია | 36 | 14 | 13 | 9 | 69—50 | 41 |
| „ლოკომოტივი“ სამტრედია | 36 | 16 | 7 | 13 | 65—44 | 39 |
| „ოდიში“ ზუგდიდი | 35 | 14 | 6 | 15 | 59—55 | 34 |

## XI-XXVIII ადგილებისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ ზესტაფონი | 32 | 15 | 8 | 9 | 43—34 | 38 |
| „შუქურა“ ჩაქვი | 33 | 15 | 7 | 11 | 50—43 | 37 |
| „დილა“ გორი | 33 | 11 | 15 | 7 | 43—38 | 37 |
| „მაღაროელი“ ჭიათურა | 33 | 15 | 6 | 12 | 54—44 | 36 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 33 | 15 | 6 | 12 | 48—39 | 36 |
| „შახტიორი“ ტყვარჩელი | 32 | 11 | 13 | 8 | 51—42 | 35 |
| „განთიადი“ ბათუმი | 33 | 13 | 6 | 14 | 37—44 | 32 |
| „განთიადი“ ბორჯომი | 33 | 9 | 13 | 11 | 29—40 | 31 |
| „ნადიკვარი“ თელავი | 33 | 10 | 10 | 13 | 52—60 | 30 |
| „წინსვლა“ წულუკიძე | 32 | 8 | 13 | 11 | 40—45 | 29 |
| „სპარტაკი“ ცხინვალი | 34 | 10 | 9 | 15 | 48—71 | 29 |
| „ისანი“ თბილისი | 32 | 9 | 8 | 15 | 27—50 | 26 |
| „დურუჯი“ ყვარელი | 32 | 6 | 11 | 15 | 46—68 | 23 |
| „დინამო“ სოხუმი | 34 | 6 | 12 | 16 | 24—43 | 23 |
| „სალხინო“ გეგეჭკორი | 33 | 8 | 6 | 19 | 51—78 | 22 |
| „მექანიზატორი“ ფოთი | 35 | 4 | 8 | 23 | 31—55 | 16 |
| „კახეთი“ გურჯაანი | 33 | 2 | 10 | 21 | 20—71 | 14 |
| „მეტალურგი“ რუსთავი | 32 | 4 | 5 | 23 | 34—88 | 13 |



გაიმართა მორიგი შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში იმ გუნდებს შორის, რომლებიც მოხვედრილი არიან ცხრილის ქვედა ნახევარში.

**„მეტალურგი“ (რუსთავი)-„სპარტაკი“ (ცხინვალი) — 1:2. მსაჯი ა. კვერნაძე (ფოთი).**

თამაში დაიწყო ორმხრივი იერიშებით და შემდგომში მასპინძლები საკმაოდ საფუძვლიანადაც დაეუფლნენ ინიციატივას. მაგრამ მათ ვერ მოახერხეს შედეგით დაემთავრებინათ თუნდაც ერთი შეტევა. სამაგიეროდ, გაცილებით უფრო ეფექტური იყო სპარტაკელთა იერიშები მეორე ტაიმში. სტუმრებმა შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება ანგარიშით 2:1.

**„სალხინო“ (გეგეჭკორი)-„განთიადი“ (ბორჯომი) — 1:2. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

მატჩის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, რომ მასპინძლებმა გახსნეს ანგარიში. გატანილი გოლის შემდეგ ინიციატივა კვლავ „სალხინოს“ მხარეს იყო, თუმცა ტაიმის დასასრულს სტუმრები საგრძნობლად გააქტიურდნენ და ანგარიშიც გათანაბრებულ იქნა — 1:1. მეორე ტაიმში გეგეჭკორელებმა ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის გამოყენება. კიდევ მეტიც, ბოლო წუთებზე მათ მეორე ბურთიც მიიღეს საკუთარ კარში და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

**„დილა“ (გორი)-„დინამო“ (სოხუმი) — 2:2. მსაჯი ა. კვერნაძე (ფოთი).**

სოხუმელებმა საკმაოდ აქტიურად დაიწყეს თამაში და ტაიმი მოიგეს ანგარიშით 2:1. შემდგომში მდგომარეობა გათანაბრდა და საბოლოოდ მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

**„წინსვლა“ (წულუკიძე)-„მეშახტე“ (ტყვარჩელი) — 0:0. მსაჯი ი. ფურცელაძე (თბილისი).**

წულუკიძის ფეხბურთელებს მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის განმავლობაში, მაგრამ ბურთის გატანა მათ ვერ შეძლეს და დაჯერდნენ ერთ ქულას—0:0. კარგად ითამაშა „მეშახტის“ მეკარემ თბილელაშვილმა.

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი)-„დურუჯი“ (ყვარელი) — 0:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

თამაში ძირითადად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა მასპინძლებს ბურთის გატანის მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

**„ნადიკვარი“ (თელავი)-„ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 0:5. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).**

სტუდენტმა ფეხბურთელებმა შეძლეს პირველივე წუთებიდან აეღოთ ხელთ ინიციატივა. „ნადიკვარის“ დაცვამ ვერ გაუძლო მოწინააღმდეგის განუწყვეტელ იერიშებს და გუნდმა დიდი ანგარიშით წააგო შეხვედრა — 0:5.

ბათუმის „განთიადისა“ და გურჯაანის „კახეთის“ მატჩში ფიქსირებულ იქნა ანგარიში 3:1 გურჯაანელთა სასარგებლოდ, მაგრამ ვინაიდან ამ გუნდში თამაშობდნენ განუცხადებელი ფეხბურთელები, „კახეთს“ ჩაეთვალა დამარცხება. ჩაქვის „შუქურა“ არ გამოცხადდა სათამაშოდ ჭიათურაში ადგილობრივ „მაღაროელთან“, რისთვისაც „მაღაროელს“ მიენიჭა გამარჯვება.

• • •

დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი თბილისში ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდსა და ქუთაისის „იმერეთს“ შორის. ეს იყო ლიდერთა შეხვედრა, რომლის შედეგს საგრძნობი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემპიონატის საბოლოო ცხრილისათვის. უაღრესად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 1:1. აღსანიშნავია, რომ ორივე ბურთი გატანილ იქნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფეხბურთელებმა ჩაატარეს კიდევ ერთი მატჩი. ამჯერად ისინი ლანჩხუთში შეხვდნენ ადგილობრივ „გურიას“. სტუდენტებმა შეძლეს თავიანთ სასარგებლოდ დაემთავრებინათ ეს მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა — 2:1.

# თასი გათამაშდა

თბილისში, ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში, დამთავრდა რესპუბლიკის 1963 წლის თასის გათამაშება ფარიკაობაში. იგი წარმოადგენდა გენერალურ რეპეტიციას საბჭოთა კავშირის თასისათვის ბრძოლის წინ, რომელიც გაიმართება დეკემბერში, ლენინგრადში.

შეჯიბრებაზე ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. აქ იყვნენ ფარიკაობის ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორებიცაა სსრკ თასის ორგზის მფლობელი სპორტის ოსტატი ნ. ასათიანი, მსოფლიოს ჩემპიონები ჭაბუკთა შორის — გ. ლორთქიფანიძე და ნ. ანდრიაძე, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრები გ. კოსტავა, ი. ოსიპოვი და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საინტერესო და დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მოფარიკავეთა გამოგზავნისათვის თავი არ შეიწუხეს აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, ზესტაფონისა და წულუკიძის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. მიუხედავად იმისა, რომ მათ დროულად დაეგზავნათ დებულებანი და გაფრთხილებები. ამიტომაც, ფაქტიურად ბრძოლა წარმოებდა თბილისის, რუსთავისა და ცხინვალის სპორტსმენთა შორის.

ასპარეზობა ტარდებოდა ოლიმპიური სისტემით. საკმარისი იყო მოფარიკავეს წაეგო თუნდაც ერთი შეხვედრა, რომ ტოვებდა საბრძოლო ბილიკს.

შეჯიბრება დაიწყეს რაპირისტმა ვაჟებმა. ფინალამდე წაუგებლად მიაღწიეს სპორტის ოსტატებმა თ. ზაუტაშვილმა და ი. ოსიპოვმა. ამ წყვილის შეხვედრას უნდა გამოერკვია, თუ ვის დარჩებოდა ძვირფასი ჯილდო. ორთაბრძოლა დაიწყო ოსიპოვის მძაფრი იერიშებით. მან თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და გაიმარჯვა კიდეც ანგარიშით 10:3. მესამე ადგილი წილად ხვდა გ. კუჭაიძეს.

ასპარეზობის მეორე დღეს შეჯიბრებაში ჩაებნენ დაშნით მოფარიკავეები. აქ ეჭვს არ იწვევდა გ. კოსტავას უპირატესობა, რომელმაც პირველი ტურიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა. მან მეოთხედფინალში დაამარცხა თ. გამრეკლიძე — 10:5, ნახევარფინალში — ლეუსი — 10:8, ფინალში — ო. საკანდელიძე—10:5 და მეორეჯერ მოიპოვა უძლიერესის წოდება და საქართველოს თასი. მეორე-მესამე საპრიზო ადგილები შესაბამისად დაიკავეს ო. საკანდელიძემ და შ. სულამანიძემ.

რაპირისტ ქალთა შეჯიბრებაზე ფინალში გასული წლის თასის მფლობელ მ. კოხრეიძესთან ერთად გავიდა ლ. შეყრილაძე, რომელიც გახდა კიდეც ამ პრიზის მფლობელი. მესამე ადგილი მიეკუთვნა ე. ავლოხაშვილს.

შეჯიბრების უკანასკნელი დღე დაეთმო ხმლით მოფარიკავეებს. ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგა ტრადიციული „კვარტეტი“ — მ. სახვაძე, გ. ლორთქიფანიძე, ა. გოგელია, ნ. ასათიანი. ტრადიციულია იმიტომ, რომ სწორედ ეს 4 მოფარიკავე იბრძოდა საპრიზო ადგილებისათვის გასული წლის თასის გათამაშების ნახევარფინალშიც.

მ. სახვაძემ ანგარიშით 10:7 დაამარცხა ა. გოგელია, ხოლო ნ. ასათიანმა — გ. ლორთქიფანიძე—10:5.

ფინალი მეტად საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა, რაზეც მეტყველებს ანგარიშიც. იგი „გაიხსნა“ მ. სახვაძის სასარგებლოდ — 2:1, 4:2, 5:4. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გათანაბრდა — 5:5, 6:6, 7:7. გარდამავალი უპირატესობის შემდეგ ნ. ასათიანი ზედიზედ სამ ჩხვლეტას აყენებს მოწინააღმდეგეს და იმარჯვებს ანგარიშით 10:7. მან მეხუთედ მოიპოვა რესპუბლიკის თასი.

ზ. დარასელია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
ა. მამულაშვილი.

თოვლი თბილისში.

ფოტო ვ. ვენგიურისა.

# ოლიმპიადის ორი მხარე

ალპები! ტიროლი! მთიანი ევროპის ამ ულამაზეს კუთხეში მდებარეობს პატარა საკურორტო ქალაქი ინსბრუკი. ქალაქი, რომელიც სულ მოკლე ხანში უნდა იქცეს საერთაშორისო სპორტის ცენტრად. ინსბრუკის ზამთრის IX ოლიმპიური თამაშები ახლა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია.

ინსბრუკის მკვიდრი მოსახლეობა დაახლოებით 100.000 კაცს ითვლის და თვითეული მათგანი ახლა მომავალი ოლიმპიური დღეების მოლოდინით ცხოვრობს. ამ ალპურ ქალაქს საერთოდ არ აკლია ჩამომსვლელი და ტურისტი, მაგრამ განა შეიძლება შეედაროს ჩვეულებრივი სეზონი ზამთარს, როცა სტუმრად ჩამოდის ოლიმპიადის მონაწილე 6.000 სპორტსმენი, მწვრთნელი, მსაჯი, ჟურნალისტი და სხვა ოფიციალური პირი! აქ მოელიან მაყურებელთა და ტურისტთა ისეთ რაოდენობას, რომ მათს დაბინავებას, კვებასა და მომსახურებას ვერ აუვა მხოლოდ ადგილობრივი ძალები. ინსბრუკი ამჟამად უდიდესი ბიზნესის ცენტრადაა ქცეული.

ჯერ კიდევ 1959 წელს, როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიამ მიუნხენში მიიღო გადაწყვეტილება IX „თეთრი ოლიმპიადა“ ჩატარებულიყო ინსბრუკში, ტიროლის დედაქალაქი სათხილამურო სპორტის სპეციალისტთა ყურადღების მთავარ ობიექტად იქცა. აქ ჩამოდიოდნენ მეცნიერები, მწვრთნელები, სპორტსმენები, დეტალურად სწავლობდნენ ადგილობრივ რელიეფს, თოვლის საფარს, კლიმატურ პირობებს. გარდა ამისა, საჭირო იყო უაღრესად დიდი საორგანიზაციო სამუშაოების წარმოება, საერთო „ოლიმპიური ატმოსფეროს“ შექმნა.

საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა საკომუნიკაციო გზების გაყვანის, თანამედროვე ტიპის სასტუმროების აგების საკითხი, როგორც ერთ-ერთი ავსტრიული გაზეთი წერდა, ინსბრუკის მეორეხარისხოვანი მოძველებული ოტელი აღარ დააკმაყოფილებდა უპრეტენზიო სტუდენტის მოკრძალებულ მოთხოვნებსაც კი, ხოლო ოლიმპიადაზე ჩამოვლენ შეძლებული ტურისტები, რომლებსაც 65 შილინგად ღირებული ძველი ოთახები არ აკმაყოფილებთ. მათ სჭირდებათ მდიდრული ნომრები აბაზანით, ტელევიზორი, რესტორნები, კაბარე და ა. შ. ერთი სიტყვით, ფუფუნების ყველა ატრიბუტი. რა თქმა უნდა, ლაპარაკი 65 შილინგზე კი აღარ იქნება, არამედ სულ სხვა თანხებზე. დიდ გასავალს დიდი შემოსავალი მოაქვს.

ოლიმპიურმა დღეებმა არნახული ბიზნესი უნდა შექმნას ტიროლში, თამაშების ორგანიზატორები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ინსბრუკი თამაშების შემდეგაც დარჩეს სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრად და ჩამომსვლელს აქ ყოველთვის ელოდეს როგორც ალპური მზე და ქათქათა თოვლი, ისე XX საუკუნის კომფორტიც. ფასები? რასაკვირველია, ფასებიც XX საუკუნის შესაბამისი იქნება. ბინა, საკვები, გართობა, სუვენირები, ბილეთები — ყველაფერი ეს საბოლოოდ უნდა იქცეს ოქროდ. ოქროდ და დოლარებად.

ინსბრუკი საგრძნობლად იცვლის სახეს ოლიმპიადის შემდეგ. ყველაფერს რომ დავანებოთ თავი, სამი მონუმენტური ნაგებობა (ე. წ. ევროპის ხიდი, ზამთრის სტადიონი და ოლიმპიური სოფელი) მას ერთ-ერთ უდიდეს სამთო-საკურორტო ცენტრად აქცევს. რად ღირს, თუნდაც ახალი ხიდი. იგი ყველაზე უფრო მაღლა მდებარეობს კონტინენტზე (სიგრძე 815, სიგანე 22,5 მეტრი) და იტალიის მხრიდან ევროპაში მიმავალ ავტოსტრადაზე მნიშვნელოვნად გააძლიერებს მიმოსვლას. „თეთრი სტადიონი“ დაიტევს 10.000 მაყურებელს. ოლიმპიურ სოფელში კარგა ხანია დამთავრდა 12 და 18-სართულიანი სახლების მშენებლობა, რომლებიც საუკეთესოდ არიან შეხამებული მთიან ადგილმდებარეობას. ინსბრუკში იმედოვნებენ, რომ აქ მომავალშიც ხშირად ჩატარდება დიდი მასშტაბის შეჯიბრებები, ამიტომ ოლიმპიური სოფლის კომპლექსს უკვე ახლა ჰყავს მუდმივმომსახურე პერსონალი.

ტიროლის ცენტრი ელის ოლიმპიურ თამაშებს. არ სძინავთ ოლიმპიადის ორგანიზატორებსაც. ასეთი ბიზნესი ალპებში ყოველთვის როდია.

# გულშემატკივარი

### ა. რაშიდოვი

★

უწინ მე სპორტული შეჯიბრებები სულაც არ მიზიდავდა. ფეხბურთის მატჩის დღეს, როდესაც თითქმის მთელი ჩვენი კანტორა სტადიონისკენ მიიჩქაროდა, მე ჩვეულებრივად შინ მივდიოდი ხოლმე. თანაც მიკვირდა, რაშია საქმე, რომ ასეთი დარბაისელი ხალხი ბავშვებივით ახუნტრუცებული მირბიან ფეხბურთზე და მღელვარებითა და განცდით უცქერიან, თუ როგორ დასდევენ ბურთს ახმახი ბიჭები.

ახლახანს ჩვენს ქალაქში დაიწყეს შეჯიბრების ჩატარება მოტორბოლაში. არ მახსოვს ეს როგორ მოხდა, მაგრამ იმ დღეს წამაჩანჩალეს სტადიონზე. და თქვენ წარმოიდგინეთ, პირველსავე დღეს, ჩემდა გასაკვირად, „გული შემტკივოდა“, საოცარია, სად გაჰქრა ჩემი სიმშვიდე და გულგრილობა! სხვებთან ერთად მეც ვღრიალებდი და გაშმაგებული ფეხებს ვაბრახუნებდი. დავივიწყე ყოველგვარი ზრდილობა და პირში სამთითჩაჩრილი სტვენით ვაყრუებდი სტადიონს... იმ დღიდან არც ერთი შეჯიბრება აღარ გამიცდენია.

აი დღესაც მოტორბოლაა. ბილეთი ჯიბეში მაქვს. მხოლოდ საჭიროა ცოტა ადრე წასვლა სამსახურიდან, მაგრამ, აბა ერთი სცადე ჩვენს უფროსთან შესვლა, არაფრის გულისათვის არ გაგიშვებს. ერთადერთი გამოსავალი თავის მოავადმყოფებაა. ვზივარ და ქაღალდებს ჩავკირკიტებ, ხოლო დროდადრო კი საათს ქურდულად დავყურებ. მოტორბოლის დაწყებამდე რაღაც ნახევარი საათი რჩება. სახეს ავადმყოფურად ვმანჭავ.

— ცოტა არ იყოს, ამ ბოლო დროს გული მაწუხებს. აუარებელი სამუშაოს გამო ექიმთან ვერ წავსულვარ.

ვამბობ და თან ვფიქრობ: მეტისმეტად შორიდან ხომ არ გამომივიდა დაწყება-მეთქი? მაგრამ უფროსი თითქოს ამ სიტყვებს უცდიდაო, მაშინვე ადგილიდან წამოხტა:

— გული გაწუხებთ? და აქამდე ექიმთან მისვლა ვერ მოგიხერხებიათ? არა, ჩემო ძვირფასო, აგრე არ ივარგებს. ახლავე საავადმყოფოში!

არ მოველოდი, რომ უფროსი ასეთ ყურადღებას გამოიჩენდა. მაგრამ იმ წამსვე აზრმა გამიელვა: იქნებ ჩანაფიქრს მიმიხვდა და უნდა გამაბაიბუროს-მეთქი? ჰოდა, მასში ეჭვის ნატამალიც კი რომ არ დამეტოვებინა, კვნესით დავაბჯინე მკერდი მაგიდის კიდეს:

— ოო, გული-ი!

კვნესის ხმაზე კადრების განყოფილების გამგე ფატმა ჰუსაინოვი შემოვარდა:

— რა დაგემართა?

— გული აქვს ცუდად, — ჩემს მაგიერ მიუგო უფროსმა.

— გული?! — ფატმამ ჯერ შუბლი მომისრისა, შემდეგ კი პულსის სინჯვა დამიწყო... თითქოს პულსიც არ ჩანს. ესენიც მამაკაცები არიან რა! ვერ მოუფიქრიათ სასწრაფო დახმარების გამოძახება! თქვენ ცივი წყალი მიაწოდეთ. დავრეკავ ახლავე.

ხმაურზე გვერდით ოთახებიდან თანამშრომლებმა დაიწყეს შემოსვლა. როცა შევხედე, რომ საქმე სერიოზულად შეტრიალდა, ვეცადე უხერხული მდგომარეობიდან როგორმე თავი დამეღწია.

—გულზე მომეშვა, თითქმის უკვე აღარა მტკივა, — ვამბობ მე და ფეხზე ვდგები, მაგრამ იქვე დივანზე დამსვეს. ამასობაში სასწრაფო დახმარებაც მოვიდა.

— რატომ გამოიძახეთ მანქანა?— აკანკალებული ხმით წამოვიყვირე. — მე უკვე სრულიად ჯანმრთელი ვარ!

— სად არის ავადმყოფი? — იკითხა ექიმმა და სათვალეებით ოთახი მოათვალიერა.

— ჰო, უკვე ყველაფერმა გამიარა, — ჩავილაპარაკე დამნაშავე კაცის ტონით.

ექიმმა აქტი შეადგინა სასწრაფო დახმარების ტყუილუბრალოდ გამოძახებისათვის და წავიდა.

თანამშრომლებმა გასწიეს თავიანთი ოთახებისაკენ. მე და უფროსი მარტონი დავრჩით. რამდენიმე წუთს ვდუმდით. მერე კი ორივეს ისე გაგვეღიმა, რომ აშკარა იყო ერთმანეთს მივუხვდით...

— გამიუქმდა! — ამოვიოხრე ნაღვლიანად, — ორი ბილეთი მქონდა პირველ რიგში... შეჯიბრებამდე ერთი კვირით ადრე შევიძინე!

— მეც გამიუქმდა... მიჩვენა უფროსმა ორი ბილეთი... და ეს ყველაფერი შენი გულისთვის მოხდა!

თარგმნა **შ. ამირანაშვილმა.**

# ღია ტურნირი

სტოკჰოლმში დაიწყო სკანდინავიის ღია ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ საბჭოთა სპორტსმენებიც. საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრები ნახევარფინალში შეხვდა შვედეთის კოლექტივს და დამარცხდა — 1:3. ერთადერთი ქულა ჩვენს გუნდს მოუტანა მოსკოველმა ა. ამელინმა. სხვათა შორის, მან დაამარცხა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ჰ. ალსერი — 21:19, 21:18. ბაქოელმა ნ. ნოვიკოვმა ორივე პარტია წააგო. შვედების სასარგებლოდ დამთავრდა აგრეთვე წყვილთა შეხვედრაც. ფინალში შვედებმა „მშრალი“ ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს კონტინენტის უძლიერესი სპორტსმენები — უნგრელები და I ადგილი დაიკავეს.

კარგად დაიწყო ტურნირი პირად ჩათვლაში კიეველმა სპორტსმენმა ს. გრინბერგმა. მან ანგარიშით 3:0 დაამარცხა იუგოსლავიის ღია ჩემპიონატში გამარჯვებული მ. შონონი (ინგლისი), ხოლო შემდეგ მოუგო ი. გარსტს — 3:1 (გფრ), საბჭოთა გუნდის მეორე წარმომადგენელი ქალი ზ. რუდნოვა კი დამარცხდა ე. ბუხგოლცთან — 2:3 (გფრ) და გამოეთიშა შეჯიბრებას.

## [illegible]...

### სიკვდილი 200 დოლარად

მოკრივე ე. ნოქსი ნოკაუტის მიღებიდან ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ეს ნოკაუტი მან უ. ბეტისთან ბრძოლაში მიიღო. პროფესიით [illegible] მშენებელი იყო, მაგრამ სამუშაო არ ჰქონდა. უმუშევარი ზანგი, რომელიც აგრეთვე კარგი მოკრივე იყო, წამოეგო საქმოსნების ანკესზე შებრძოლებოდა ბეტის. რეკლამა იუწყებოდა, რომ ბრძოლა საინტერესოდ წარიმართებოდა. ბეტი იწონიდა 102 კილოგრამს, ხოლო ნოქსი სულ რაღაც 76 კილოგრამს. „დავითი და გოლიათი“, „სპილო და კატა“ — ასე იყო რეკლამირებული ეს მატჩი. პროფესიონალ მოკრივეებს ასეთი უთანასწორო ბრძოლა აკრძალული აქვთ, მაგრამ კანონს სულ უბრალოდ აუარეს გვერდი: დაწერეს, რომ ნოქსი იწონიდა 80 კილოგრამს. ასე გახდა იგი „მძიმე წონის“ მოკრივე და ბეტისთან შეხვედრის უფლებაც მიიღო. უმუშევარ ზანგს კარგად ესმოდა, რომ ამ ბრძოლაში სასტიკად ნაცემი დარჩებოდა, მაგრამ მას 200 დოლარს პირდებოდნენ, ეს ეყოფოდა პურისა და მკურნალობისათვისაც. მაგრამ მოხდა უარესი. ფული ნოქსის დაკრძალვაზე დაიხარჯა.

### ოქროს მედალი არ გათამაშებულა

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში მრავალ კურიოზს ჰქონია ადგილი. მაგრამ ის, რაც 1912 წელს მოხდა, ნამდვილად გამოირჩეოდა დანარჩენებისაგან. კლასიკურ მოჭიდავეთა ჩემპიონატზე ოქროს მედლის ბედი უნდა გადაეწყვიტა შვედი ალგრენისა და ფინელი ბოლინგის შეხვედრას.

მაშინდელი წესებით ჭიდაობა მოწინააღმდეგის წმინდა დამარცხებამდე გრძელდებოდა და ეს კარგად გამოიყენეს აღნიშნულმა მეტოქეებმა. ამაოდ ელოდნენ მაყურებლები გამარჯვებული მოჭიდავის ნახვას. ჭიდაობა გაგრძელდა... ცხრა საათს, გაგრძელდებოდა ის უფრო მეტ ხანსაც, მაგრამ ერთ ადგილზე ჯდომისაგან ღონემიხდილ მსაჯებს მოთმინების ძაფი გაუწყდათ. მათ ბრძოლა შეწყვიტეს და რადგანაც გამარჯვებული გამოვლინებული არ იყო, ორივეს ვერცხლის მედლები მიანიჭეს.

ოქროს მედალი არც ერთს არ ერგო.



დონეცკის ოლქის ნოვოკრამატორსკის მანქანათმშენებელთა სპორტულმა კლუბმა „ბლუმინგმა“ ამას წინათ ძვირფასი საჩუქარი — სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი მიიღო. **სურათზე:** ამ კომპლექსის ერთ-ერთ დარბაზში (სურათი ზევით) ბავშვთა სპორტული სკოლის მოსწავლე ტ. ვისოჩინა ორძელზე მეცადინეობის დროს; ქვევით — ახალი საცურაო აუზი. წინა პლანზე არიან დონბასელი სპორტსმენები ვ. მოროზენკო და ლ. კრივშიცი.

ფოტო ს. გენდელმანისა.
საკდესის ფოტოქრონიკა.

რედაქტორი **ი. უგულავა.**

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებებს — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 11688